

ნებულთა, რომ ეს ასე მოხდეს იმ აზრით, რომ იქნება ამ ერთმანეთში არე-დარევაში ზოგიერთი სახელმწიფო გამოანაპიროს და ინგლისის თაოსნობით სხვა ახალი კავშირი შედგეს ევროპის საქმეთა წინ გასამძღოლად. სხვით რით უნდა იხსნას ის თავკამოდება ინგლისისა, რათა დარღვეულ იქნას და განაწილებულ ოსმალეთი, როცა თითქმის ორმოცი წელიწადია, რაც ინგლისი თავსა სდებდა ოსმალეთის ხელ-შეუხებლობისათვის და არასფერს არა ზოგავდა ამისათვის. დღეს კი მთავარ-მინისტრო ინგლისისა სალუსბერი ამბობს პარლამენტში, რომ აღმოსავლეთის პოლიტიკა ინგლისისა მთელი ორმოცი წელიწადი შეცდომით მოქმედობდა. უდიდესი შეცდომა ის იყო, რომ ლიბერალების სამინისტრომ უარპყო სარჩიელი იმპერატორის ნიკოლოზ პირველისა, რომ ოსმალეთი განაწილებულ იქნას. მაშინ ინგლისმა არ იჯერა რუსეთის იმპერატორის სარჩიელი და აი დღეს ის შეცდომა თავში გვემსო.

მაშინ სულ სხვა ამბავი იყო და გარემოება. მაშინ რუსეთი განცალკევებული იყო და ევროპაში თითქმის მომხრე არა ჰყავდა და რაში ეპირვებოდა ინგლისს ეს რთული საქმე ოსმალეთის განაწილებისა ფეხზე წამოაყენებინა. დღეს სულ სხვა ამბავია და სხვა გარემოება. ამ სხვა ამბავმა და გარემოებამ ისე შესცვალა ყველაფერი, რომ დღეს რუსეთი ესარჩილება ოსმალეთის ხელ-შეუხებლობას და ინგლისი კი ეტანება მის განაწილებას და დარღვევას, თუმცა როგორც ვარ უბრუნდება, რადგანაც რუსეთი უარზეა. ასე შეიცვალა

დრო და მიმართულება პოლიტიკისა ინგლისისა და რუსეთში აღმოსავლეთის საქმის შესახებ. მაინც-და-მაინც ინგლისმა ძალიან გაუკრა საქმე ოსმალეთისა, რომელსაც შემოსწერა ამ ბოლოს ხანებში იმის გამო, რომ ეგვიპტეს საქმეში ოსმალეთმა აშკარად მხარე დაიჭირა საფრანგეთისა და გული საფრანგეთისა და რუსეთის მხრივ მიიბრუნა. ინგლისის შემოწყობა იფხვად არ უჯდება ოსმალეთისა, კრიტის კუნძულის ამბავი, სომხების საქმე და სხვა შინაური ალიანქათი ოსმალეთში სულ ინგლისის უნარია, ამბობენ. აგრეთვე წყრობამ ინგლისისამ დიდ სასოწარკვეთილობაში ჩააგდო ოსმალეთი ასე, რომ ეხლა სულთანმა თურქმე ზოგიერთს სახელმწიფო ელჩებს. ემუდარება როგორმე შამარიგეთ ინგლისთანაო, თუ დაეუჯერებთ ზოგიერთს გაზეთებს, რომელნიც ბოლო ხანებში ამ ამბავს იუწყებიან.

ამას წინადა, ესე იგი 29 დეკემბერს ეხლანდელ ინგლისის სამინისტროს წევრს ბალჭურს, რომელიც კონსერვატორების მოთავეც არის ქვედა პალატაში, სიტყვა წარმოუქვამს მანჩესტერში. 1896 წლის დასაწყისში, უთქვამს თურმე, ინგლისის საპოლიტიკო ცას ჯანლი გადაფარა ვენეცუელის და ტრანსვალის საქმეთაგანაო და ეხლა ეგ ჯანლი გადაიწმინდაო. დარჩა მარტო აღმოსავლეთის საქმე იმის წყალობით, რომ ოსმალეთში რეფორმების შემოღება გვიანდებაო, ამ დაგვიანების ბრალსა სდებს ბალჭური რუსეთს. ევროპამ საერთო თანხმობით წინამძღოლობა ამ საქმეში გადასცა რუსეთსა და რუსეთი აგვიანებს იმოდენად გაბედუ-

ლად მოსთხოვოს ეს რეფორმები ოსმალეთს, როგორც საქორად ცნობილია ყველა სახელმწიფოებისაგან და მათ შორის თვით საფრანგეთისაგანაცაო. ინგლისის პალატის წევრმა სტენლიმ პარიზის გაზეთში „Eclair“ დაჰბეჭდა ვრცელი წერილი დაამტკიცებს, რომ ინგლისი მზად არის ეგვიპტეს თავი დაანებოს და ჯარები გამოიყვანოს მაშინვე, რაკი ხართუმს წაართმევს მალდისაო და გულს დააჯერებს, რომ ეგვიპტეში წესი და რიგი მტკიცედ დამყარდებაო. ინგლისისათვის სუენის არხი სტრატეგიის მხრით არაფერი გამოსადეგია და ამ არხის გულისათვის ინგლისი ევროპას არ მოიმდურებს და ნამეტნავად საფრანგეთისაო. მაშ რა საქორაო საფრანგეთისათვის დამეგობრება რუსეთთან ეგვიპტის გამოაო.

რომ მიუხედავად შინაგანს აზრს, ბალჭურის და სტენლის მიერ გამოთქმულ სიტყვისას, საქორაო ვიცოდეთ, რომ ამ ბოლოს ხანებში სამდურავი რუსეთის მიმართ, თუმცა კანტი-კუნტად კი, გაისმოდა პარიზის გაზეთებშიაც. ყველაზე გაბედულად ხმა ამოიღო ამ საგანზე გაზეთმა „ტიგარომ“. ეს გაზეთი არა ერთხელ ამბობდა, რომ რუსეთის მეგობრობამ იმდენი ზენ არა გვარგო რა, რამოდენადაც თვითონ რუსეთმა ზენის მეგობრობით ირგოო. დაგვირდნენ ეგვიპტის საქმეში ხელ-შეწყობას და სად არის ეგვიპტის საქმეო? ამისი ჩამი-ჩემიკ არ ისმისო. რუსეთი ამაზე ხმას არ იღებს და ვართ ისეპირში ჩალა გამოვლებულიო. რა თქმა უნდა ამისთანა საუბარი გაზეთისა ბევრს არასა პნიშნავს, მაგრამ მაინცა და მაინც საყურადღებოა ამისთანა

აზრი გამოთქმა იქ, სადაც მთავრობა საფრანგეთისა აგრე მაგრად რუსეთს კალთაზე ხელსა ჰკიდებს.

თუ ზიგაროს ხმას დიდი აბრუ არა აქვს საფრანგეთში, ნამეტნავად საფრანგეთის გარედ, ეს არ ითქმის იმისთანა გაზეთზე, როგორც „Temps“. ეს გაზეთი თითქმის საფრანგეთის სამინისტროს გაზეთად არის ცნობილი და მაინც და მაინც წინ დახედულ და ჰკუა დამჯდარ გაზეთად მიჩნია ყველას. ამას წინად ერთი ბერი იტალიისა სალვატორი მოჰკლეს ოსმალეთში და მკვლელად აღმოჩნდა პოლკოვნიკი მახსარ-ბეი. საფრანგეთი, როგორც მფარველი რომის კათოლიკეთა სამღვდლოებისა, გამოესარჩლა იტალიას და მოითხოვა მკვლელი სისხლის სამართალში მიეტათ. ოსმალეთი როგორცა თავი-დამ იცილებდა ამ საქმეს და სცდობობდა ჰოარაობით საქმე ჩაეფუჩებინა. ამის გამო ხსენებული გაზეთი „Temps“ ამბობს, რომ ამ საქმის ჩაფუჩებმა შეჰლახავს საფრანგეთის ღირსებასაო. საქორაო, რომ სულთანს რიხიანად გამოელოპარაკონ და შეურყვევლი სიმტკიცე დაანახვონო. საქორაო, რომ ყველა სახელმწიფოებმა გამოიჩინონ ერთნაირი მხნეობა და ერთნაირი უკან დაუხველობაო, თორემ ევროპას აბრუ გაუტყდება და საქმე აუცილებლად ძალის ხმარებაზე მიდგებაო.

ინგლისელები ამ სიტყვებშიაც იმისთანავე სამდურავსა ჰპოულობენ, თუმცა უფრო ფრთხილად გამოთქმულს, როგორც ზიგარომ გამოთქვა. ყოველივე ეს რომ პირისპირ დაეუყენოთ ზემოდ მოყვანილ სიტყვებს ინგლისის სახელმწიფოთა

რომს, რომანტიული ქმნილებაა და აღტაცებული იდეალისტი. ესეც სინამდვილესთან ახლოს არის და თავიდან ბოლომდის კარვად არის დაცული ერთიანობა ამ ტიპისა. მასწავლებელი ქალი ლიზა, რომელსაც ძალა უნებურად მიუყვია ხელი მასწავლებლისათვის, რომელიც ფუფუნებაში აღზრდილია თავდაპირველად და რომელსაც ფუქსავატის ცხოვრების ღრმა ბეჭედი უკვე ასვია, ხელოვნურად დაუსურათებია ავტორს. მისი უეცარი გატაცება ისონ ჯანბადრუკიანით, მისივე დაცემა სრულიად უბრძოლველად, ეს ყოველივე შედეგია იმ აღზრდისა, იმ უაზრო ცხოვრებისა, რომლის მსხვერპლი იყო ლიზა, მაგრამ ეს დაცემა მისი გარდაბადების წინამორბედადაც შეიქმნა და აი აქ იხატება იდეალისტობა ქან. ეკ. ვაბაშვილისა. ნუ თუ მხოლოდ უბედურებას შეუძლიან კაცს ბედნიერების გზა აპოვინოსო?! ჰკითხულობს ავტორი ბოლოს და პასუხს მისივე მოთხრობა გვაძლევს: უბედურება შეიქმნება ლიზას შემცვლელი, თვლების ამიღველი

აიღეთ ეხლა ისონი, ეს დათიკოს (,,გლახის ნაამბობი“) ღვიძლი ძმა: უსაქური, გაცვეთილი და ზნეობით გარყვნილი იახლოვანდა, რომელიც ყოველთვის იმას ფიქრობს, აბა რომელი ქალი მოვიგდო ხელშიო. იგი ჰეშმარიტი მემკვიდრეა მისის მამისა. ხოლო ავტორის ადამიანურის სიბრალულით საესე გული აქა-საჩანს. ავტორი რადაც სიმპატიესებურ გრძობას იწვევს ჩვენში. ამ ყმაწვილის მიმართ მისი გატაცება როგორცა გულწრფელად გვეჩვენება. ავტორმა ისიც არ

საქმეთა კაცებისას, არ შეიძლება არ შევამჩნიოთ, რომ ინგლისსა ჰსურს ნავთი დაასხას საფრანგეთის გაზეთებში. ანუ უნდა იტყვოს, რომ როგორც ამბობს ერთი რუსეთის გაზეთი-ცხლია, უნდა იტყვოს, რომ ინგლისისა იმაზე მიტკეულა, რომ საფრანგეთს გული აუტრუოს რუსეთზე. აი რისთვის არის საქორაო ინგლისისათვის ოსმალეთის საქმის აშლა, აწეწა და ევროპის წინაშე ფეხზე წამოყენება.

რუსეთს არ უნდა გამწვავება ას საქმისა და იგი ჰრჩეობს მშვიდობით და სისხლ დაუღვრელად დაუმორჩილოს ევროპას ოსმალეთი. იძახიან, რომ თუ ევროპა არ შეიშენეს სამშვიდობო პოლიტიკას რუსეთისა და ოსმალეთი რჩევას ევროპისა არ მიიღებს, აუცილებელი იქნებ ევროპის სახელმწიფოთა ესკადრების შესვლა ბოსფორშიო. მაშინ რუსეთი იძულებულ იქნება, ამბობენ გაზეთები, შავი ზღვის ნავთ-სადგურებისა და ფლოტის უშიშრად ყოფნისათვის მოითხოვოს დარღვეული შესვლა-გამოსვლის თავისუფლებაო, ამასაც უმატებენ, რომ იმ დრომდღე რუსეთს ხელს არ მისცემს ეს საქმე ასტეხოსო, რადგანაც საფიქრებელი ამით ევროპის თანხმობა დაირღვას, სახელმწიფოთა შორის არეულობა და განხეთქილება რამ ჩამოვარდესო, ასე ჰლახარაკობს გაზეთი: „Politique Corres pondenz“.

ოსმალეთი ყოველ ამის მაყურებელი და მხედველი, მართალია, ძალიან გაჭირებულია დღეს, მაგრამ მაინც ეუჭება ევროპი სარჩიელს რადგანაც დარწმუნებულია, რომ ევროპა ძალას არ იხმარებს და სიტუაციას, რომანტიული ქმნილებაა და აღტაცებული იდეალისტი. ესეც სინამდვილესთან ახლოს არის და თავიდან ბოლომდის კარვად არის დაცული ერთიანობა ამ ტიპისა. მასწავლებელი ქალი ლიზა, რომელსაც ძალა უნებურად მიუყვია ხელი მასწავლებლისათვის, რომელიც ფუფუნებაში აღზრდილია თავდაპირველად და რომელსაც ფუქსავატის ცხოვრების ღრმა ბეჭედი უკვე ასვია, ხელოვნურად დაუსურათებია ავტორს. მისი უეცარი გატაცება ისონ ჯანბადრუკიანით, მისივე დაცემა სრულიად უბრძოლველად, ეს ყოველივე შედეგია იმ აღზრდისა, იმ უაზრო ცხოვრებისა, რომლის მსხვერპლი იყო ლიზა, მაგრამ ეს დაცემა მისი გარდაბადების წინამორბედადაც შეიქმნა და აი აქ იხატება იდეალისტობა ქან. ეკ. ვაბაშვილისა. ნუ თუ მხოლოდ უბედურებას შეუძლიან კაცს ბედნიერების გზა აპოვინოსო?! ჰკითხულობს ავტორი ბოლოს და პასუხს მისივე მოთხრობა გვაძლევს: უბედურება შეიქმნება ლიზას შემცვლელი, თვლების ამიღველი

ფელეტონი

სალიბარატურო მიმოხილვა 1896 წლისა.

საზოგადოდ მთელის ევროპის ლიტერატურა ფიზიკურად, თავს ანებებს, სტრავებს იმ საგათას ძილს, რომელსაც მიეცა ამ რამდენიმე წლის წინად. გაფაციცებული მუშაობა გონებისა, ამ მუშაობის ნაწარმოებთა სიუხვე, რაღაც ფიცხელი, ნერვოზული მიმართულება მთლად მთელის ლიტერატურისა იმის მომასწავებელი უნდა იყოს, რომ ახალ გაზუნდ მგზავრობა დაიწყო ეხლანდელმა ლიტერატურამ. მართალია, ამ მსვლელობას თვალსაჩინო და გენიოსობით აღტურვილი ბელადნი არა ჰყავს, მაგრამ როგორცა ეხლანდელს დროში გენიოსობა ხურდავდება და შეიძლება მათემატიკურს კანონებს დაემორჩილოს, ე. ი. მართალია, გენიოსები არა სჩნდებიან ეხლანდელის ლიტერატურის ასპარეზზედ, მაგრამ სამაგიეროდ მრავალნი ფრიად ნიჭიერნი ამშვენებენ სამეფოს სიტყვა-კაზმულის მწერლობისას. ჩვენი ლიტერატურაც საყოველთაო კანონს ემორჩილება და დღითი დღე ჩვენი მწერლების გონების ნაწარმოები იზრდება, ყოველს წელს თითქმის ახალი მწერალი სჩნდება, და ზოგთ, რომელნიც რამდენისამე წლის წინად გამოჩნდნენ, კარგა მაგრად მოიცილეს ფეხი ლიტერატურაში. ბელთაგან ეკ. ვაბაშვილისამ დაგვიჩილოვა ამ წელიწადში თავისის ფრიად საინტერესო მოთხრობით, რომლისთვისაც „ნიკო გამარჯვებუ-

ლი“ დაურქმევია (იხ. „მოამბე“ № I, II და III) ეკ. ვაბაშვილისა, როგორც ქალი, მშვენიერი წარმომადგენელია ჩვენს ლიტერატურაში იდეალურის მიმართულებისა. საუკეთესო წარმომადგენელი ლიტერატორის ქალისა და დიდებული შემქმნელი იდეალურის ლიტერატურისა ზომიერე ზანდია და აბა გადიკთხეთ მისი რომანები, რა საუკხოო სფერებში შეჰყავხართ. ამ გვარის მწერლების განსაკუთრებულ თვისებად უნდა ჩათვალოს ის, რომ უფრო იმას გვიწერენ, რაც უნდა აუფს და არა მას, რაც ყოველ დღიურს უგეშურს ცხოვრებაში ყოველს ფეხის გადადგამზედ შეგვხვდება. მათ არ მიანიათ საქორად დაგვიხატონ იგი, რაც უმსავსოებსა შეადგენს და უბადრუკობით საესე არის. მათთვის მნიშვნელობა აქვს საუკუნო, დაუსაბამო პრინციპებს. ცხოვრების ისეთს მოვლენას აპყრობენ ყურადღებას, რასაც მუდმივი ხასიათი აქვს, რაც ცხოვრების გამაუმჯობესებელია, რაც მის იდეალად უნდა დაისახოს. ნურავინ იფიქრებს მას, რომ ეს კარვად შეგვხვებისა და ჰეშმარიტის რეალიზმისუარყოფიყოს. სრულიადაც არა. ნუ თუ რეალური ნიადაგი მარტო მას აძევს, რაც უმნიშვნელოა, უმსგავსოებით შემოსილია და ცხოვრების გათახსირების მომასწავებელია. ნუ თუ ჩვენი აზრები, ჩვენი იდეალური წარმოდგენა ცხოვრებისა, რომელიც რეალურს საფუძველს გარეშე შეუძლებელიც არის, ნუ თუ ესეც სინამდვილე არ არის და ნამდვილის ცხოვრების მოვლენა? შემოგვიცავთ თუ გინდა, რომ ქანი გამაშვილის მოთხრობის არაკი თავის

დღეშიაც არ მომხდარიყოს. ამის იმიტომ ვიტყვი, რომ ასეთი ამბავი იშვიათია და ჩვენ, ადამიანთ, ყოველივე იგი, რაც არა ჩვეულებრივია, არ არსებულად მიგვიჩნია, მაგრამ თუ სხვა მხრით შეხედავთ ამ მოთხრობას და ამ კითხვას დააყენებთ: შესაძლებელია თუ არა და სასურველია თუ არა, რომ ამამ და ამ მოვლენას ამ გვარა შედეგი მოჰყვას და ან ეს უკვირ ამ ნაირად შეიცვალოს, მაშინ უთუოდ პასუხად იტყვით დაბეჯითებით, რომ ეს შესაძლებელია და სასურველიც. ნურც იმას იფიქრებთ, რომ ამ ჯგუფის მწერლებს თვალთა ხედვა აკლდეთ და ცხოვრების საზიზღარ მხარეებსაც ვერა ხედავდნენ. ჰხედავენ და ძალიან კარვადაც. იციან, რომ კაცში ბევრია პირუტყული, იციან რომ მას ბევრი ნაკლულევაანება აქვს, მაგრამ კარგს მხარეებსაც არ ივიწყებენ. არა თუ ივიწყებენ, უპირატესობას კარგ მხარეებს აძლევენ. კაცის პირუტყული სა და ადამიანურის მხარეების შებრძოლებაში გამარჯვებს უსათუოდ უკანასკნელებს უთმობენ. აიღეთ ავტორი ქანი ეკ. ვაბაშვილის ზემოხსენებული მოთხრობა. ამაში არის ისეთი ტიპი, როგორც ლუარსაბ ჯანბადრუკიანია — გარყვნილი, უზნეო, საღახანა, ბრანდი და ბენძლი, დაბერებული დონ-ჟუანი. მართალი ვითხრათ, ასეთი საზიზღარი, ასეთი პირუტყვობით აღსავსე ტიპი ჩვენს ლიტერატურაში იშვიათია. აი იმის დამამტკიცებელი საბუთი, რომ პატივცემულს მწერალს ცხოვრების სიხვე მეტად კარვად აქვს შეგნებული.

სოფლის მასწავლებლის ნიკოს ტიპიც მეტად კარვია. ეს არის კაცი, რომელიც მარტო აზროვნებითა სცხოვ-

ყვას საქმედ არ აქცევს. ევროპა იმის შიშით ვერ გაბედავს ოსმალის ხელის ხლებას, იმიტომ, რომ საერთოდ ცეცხლის წაქიდება მოჰყვება ამას. ეს კარგად აციან ოსმალებმა და ჯერ ხანად ანთ ჰნუგეშობენ და იოლად მიდიან. ამ სახით ქვა კუთხედად ეხლანდელის პოლიტიკისა აღმოსავლეთის საქმის შესახებ ჯერ უსისხლოდ დამორჩილება ოსმალეთისა და მერე მისი ხელ შეუხებლობა. შარშანდელმა წელიწადმა ამ სახით გადმოსცა აღმოსავლეთის საქმე ამ ახალს წელიწადსა და დრო გამოაჩენს ეს ახალი წელიწადი როგორ გაუძღვება.

ახალი ამბავი

შიდა სიქმეთა სამინისტროს უკვე შეუსრულებია მინდობილი საქმე ბაზარში ვაჭრობისათვის ახლის წეს-რიგის შემოღებისა და ამის გამო ამ ახლო ხანში წარდგენილ იქნება სახელმწიფო საბჭოში მოხსენება გასასინჯავად.

სამხედრო სფერაში, როგორც ამბობს „Петербургскія Вѣдомости“-ი, პლაპარაკობენ პეტერბურგში გაიმართოს უმაღლესი სასწავლებელი, რომელმაც უნდა მოამზადოს აფიცრები სხვა-და-სხვა ადმინისტრაციულ თანამდებობისათვის.

პროექტი საშუალო სამეურნეო სწავლა-განათლების გადაკეთების შესახებ უკვე შეუდგენიათ და

ში გვგონია და გვგებამუშება რაღაც სწორედ ამას უნდა მივაწეროთ. ის, რომ ამ მოთხოვნის ეპილოგი აღარ გვეჩვენება მოხერხებულად და ასე გვგონია დასახირობებულა სინამდვილე. ამ ეპილოგშია აღწერილი ამბავი მოთხოვნის პირების „გარდაბადებისა“. ზემოთ ჩვირისნენეჟი, რომ ეს გარდაბადება, ეს შეცვლა უნდა ჰქონდეს შესაძლებელია და სინამდვილეს მოკლებული არ არის. და სინამდვილედ, რასაკვირველია, მართა ის კი არ უნდა მიგვაჩნდეს, რაც ჩვენ თვით თვალთ გვინახავს და რაც ყოველს წუთში ხდება. ნამდვილია ისიც, რაც იშვიათად ხდება, რაც შესაძლებელია მომავალში და მიუცილებლად მოსალოდნელია, როგორც ამას გვაუწყებს ჩვენი თვალთ ნახული ფაქტი. სინამდვილე და თუ არ არის უნდა გავხადოთ ნამდვილად ის, რომელიც, ის სურვილიც, ის აზრიც მწიკლისა, რომელი გვეუბნება ეს ასე უნდა იყოს აუცილებლად. ამ აზრსაც, რასაკვირველია, მტკიცე რეალური საფუძველი ავს.

ხოლო რატომ არის, რომ ეს ნაწილი მოთხოვნისა მიანც როგორღაც გვეჩითება? ჩვენა გვგონია, რომ ეს „გარდაბადება“ არ არის საქმად ვრცლად, დაწვრილებით აღწერილი. ეს თვით უფრო მძიმე მომენტია მოთხოვნისა და საქმად საფუძვლიანად უნდა იყოს შემუშავებული. შეიძლება ეხლანდელობას ვერც ავტორი გაჭკვევია და მიუხედავად მისის იდეალურის არსებისა, დღევანდელ აზრთა მიმართულებას დალი დაუსვამს მანვე და როგორღაც სიმტკიცით, ღრმა დარწმუნებით ვერ გვიხატავს ამ სურათს გარდაბადებისას,

ამ ახლო ხანში წარდგენილ იქნება სახელმწიფო საბჭოში გასასინჯავად.

კამისია, რომელსაც რუსეთში მინდობილი ჰქონდა გადასინჯვა იმ სისტემისა, რომლის ძალითაც დღეს აქამომდე აქციოს იხილდნენ ქაქისა და თხლისაგან გამოხდილ არაყის გამო, ამ იანვრის 25-ს შეიყრება ფინანსთა სამინისტროში.

ჩვენ მივიღეთ კედლის ქართული კალენდარი 1897 წლისა, შედგენილი გრ. ჩარკვიანის მიერ, ხოლო გამოცემული ჩარკვიანისა და ვა. ჯავარიძისაგან. კალენდარს დატანებული აქვს სურათი წმ. მოწამე ქეთევანისა; კარგ ქალაღზე არის დამბეჭდილი და ღირს ორი აბაზი.

როგორც ვახეთ „ნორ-დარს“ ატყობინებენ, ქ. შუშის მცხოვრებს, ალ. ცატურიანს 10,000 მანეთი შეუწირავს კავკასიის აქეთა მხრის სომეხთა საქველ-მოქმედო საზოგადოებისთვის („კავკ.“).

ბათუმი. 14 იანვარს ქ. ბათუმში იქმნა გამართული ჩვეულებრივი ქართული საღამო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ სასარგებლოდ. საღამომ ჩვეულებრივ მხიარულად ჩაიარა; ყოველ ქართულ სიმღერას, თუ ლექსს, რაც კი ჩვენს ცხოვრებას ნათელსა ჰქვენს, აუარებელი ჩაზოგადობა, რომელსაც აქ მოეყარა თავი, აღტაცებაში მოჰყავდა. თვით ევროპეულმა პიესებმა და რომანსებმა ამით წარჩინებასთან თავი მოიხარეს. დიდად ნასიამოვნები საზოგადოება შულაძის შემდეგ დაიშალა.

თითქო როცა სწერს გონება გულს ერჩის, შეჭბობილება, გული ეუბნება, ეს ასე უნდა იყოს, და გონებო სინამდვილის ცოდნა-კი, ეს ასე არ არისო. ეს ბრძოლა ცივის გონებისა და ღმობიერის გულისა თავისებურს ელფერს აძლევს ამ ნაწილს მოთხოვნის. ასე დღონათ, ავტორი სწერს და თანაც ფიქრობს, ვაი თუ არ დამიჯერონო. ასეთი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზედ ნაწარმოებმა ნიქიერის მწერალის ქალისამ.

სრულიად წინააღმდეგის გრძობების გამომატველნი არიან ჩვენი ახალგაზდა მწერალნი, რომელთა შორის ბატონმა შოი არაგვისპირელმა უკვე თვალ-საჩინო ადგილი დაიჭირა ჩვენს ლიტერატურაში და მასთან ერთად „განდევნილმა“ და ბ-ნან. დეკანოზიშვილმა ერთმანეთის დამოუკიდებლად შექმნეს ახალი მიმართულება ჩვენს ლიტერატურაში. იგინი სწერენ პატარ-პატარა მოთხრობებს, აღსავსეს პოეზიითა, და ღრმა ფსიქოლოგიის ცოდნას იჩენენ ამ პატარა ნაწევრების წერაში. მაგრამ თუ ქ-ნი გაბაშვილისა იდეალისტი და ოპტიმისტი, ესენი მეტის-მეტ პესიმისტობას ჩემულობენ.

აიღეთ მაგალითად ბ-ნ არაგვისპირელის ეტიუდი „ქეშარიტად“ და იქ ნახავთ, უტყუარს საბუთს იმისას, რომ ავტორს დიდი ფსიქოლოგიური ნიჭი აქვს და მასაც, რომ ეს ნიჭი ერთს ღრმად ეკი არ შეჩერებულა, როგორც სხვა ქართველ მწერლებს სჩვევიათ, არამედ თანდათან ვითარდება და იზრდება. საშინელი ეჭვი, რომელიც პეტრე მოციქულს სდევნის, სულს უხუთავს

ამ დღებში კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბში სხდომა იქნება იმის შესახებ, რომ ნავთის ქარხნები ბათუმიდან თამარის ციხესთან იყოს გადატანილი.

ვახ. „კავკ.“-ის სიტყვით, კავკასიის მთავარ-მმართველის თანამდებობის აღმასრულებელს, ბ-ნ კავკასიის სამოსწავლო ნაწილის მზრუნველის წინადადებით, ამა მიმდინარე იანვრის თვიდან კავკასიის სტიპენდიები დაუნიშნავს შემდეგის სტუდენტებისათვის: მოსკოვის უნივერსიტეტის—ნიკოლოზ გერგასის, თავ. ლეონ მაყაშვილი, ნიკოლოზ ელიაშვილი და კონსტანტინე ელიაზიშვილისათვის და აგრეთვე ნოვოროსისის უნივერსიტეტის სტუდენტის ივანე სტანიშვილისათვის.

ამიერ-კავკასიის რკინის გზის სახელოსნოებში ამ ჟამად გადაკეთებაშია სამი საქონლის ვაგონი, რომლებიც ცოცხლის თევზის გადასაზიდვად უნდა გააწყონ. ერთი ვაგონი ამ თვის გასულს იქნება მზად, ხოლო ორი სხვა—თებერვლის გასულს.

ვახ. „ჩერნომორ. ვესტ.“-ის სიტყვით, ბათუმში არსდება ახალი საზოგადოება ქალაქში ცხენის რკინის გზისა და ელექტრონის სინათლის შემოსაღებად. ამ დღებში ამ საზოგადოების მონაწილეთ თათბირიცა ჰქონიათ და რვა კაცი ამოუჩვენიათ წესდების შესადგენად. კომისიის მინდობილი აქვს მოლაპარაკება გამართოს ბათუმის საქალაქო თვითმმართველობასთან. ამ ჟამად ამ სა-

და იმდენად სტანჯავს, რომ თმებს აგლეჯინებს და ფიზიკურ ტკივილებს აგრძობინებს, საუცხოვოდ აქვს დასურათებული ავტორს ამ თავის საუკეთესო ეტიუდში. იშვიათია ლიტერატურაში ასეთის სინამდვილით გაგება პეტრე მოციქულის დიდებულის არსებისა. ამ გონიერს სკეპტიკს, რომელიც ყოველს ფაქტს ეჭვით თვალთ უყურებს, მეცნიერს, რომელიც ყოველივეს დასაბუთებას ითხოვს, არ ძალუძს ცხოვრება თვინიერ სარწმუნოებისა, მასა სწადიან რწმენა, ილტვის ამ რწმენისაკენ გული და უჯერებელი და შეურყეველია გულისა და გონების ამ გვარი ბრძოლა მეტის-მეტად მოჰქ ანცავს, დასტანჯავს და სულიერად უძლოურად ჰქმნის. ამ დროს გამოჩნდება მარიამ მაგდალინელი და ქრისტეს აღდგომას ახარებს: „ქეშარიტად!.. მარიამ... შენ?!“ დაბნეუთ გაიძახოდა პეტრე მოციქული და მარიამ მაგდალინელს მხურვალედ ჰკოცნიდა, თითქო ამას ელოდაო, თითქო არც-კი გაეგონოს მარიამის სიტყვებო, ისე წამოისროლა „ქეშარიტად“, იმიტომ რომ ან იგი „ქეშარიტად“ უნდა ეთქვა და ან სიცოცხლეს გამოსალმებოდა. ეს ისეთი ბუნებაა, რომელსაც ჰსურს სწამდეს და თანაც ეს რწმენა ადგოს უტყუარს მისგან ნახულოს და შეგნებულს ფაქტზედ, და თუ ეს არ შეიძლება, მიანც უნდა იპოვოს რწმენა და ან აღიგავოს პირისაგან ქვეყნისა. უნაყოფო ეჭვი, უმნიშვნელო და უსარგებლო სკეპტიციზმი იმის ბუნებას ვერ ეწყობა. არაგვისპირელის დანარჩენს მოთხოვნებზედ უნდა ვსთქვათ

ზოგადოების წევრთა შორის სხენებული საქმისათვის უკვე 63,000 მანეთია შეკრებილი.

ორშაბათს, 20 იანვარს, ტფილისის სობრანიაში გამართულ იქნება კონცერტი პირველ კლასიკურ გიმნაზიის იმ მოსწავლეთა სასარგებლოდ, რომელნიც წრეულს ამთავრებენ სწავლას. კონცერტში მონაწილეობას იღებენ ტფილისელთა ნაცნობნი არტისტნი ქალნი და კაცი და აგრეთვე ქ-ნი სტეფანოვისა, კნიაჟა ამირჯიბი და ბ-ნი ვილშუ, პახომოვი და დოლოზანოვი. კონცერტის პროგრამა ძალიან საინტერესოდ არის შედგენილი.

15 იანვარს, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში საჯარო ვაჭრობა იყო მამულების გასასყიდად. სულ უნდა გაყიდულიყო 4 მამული, 3 გაიყიდა. ამ სამს მამულზედ სულ ვალი ითვლებოდა 6,312 მან., გაიყიდა 6,552 მან. მეოთხე მამული ბანკსავე დარჩა. ამ მამულზედ ვალად ითვლება 1,711 მან. 58 კაპ.

თბილისში სასოფლო სამეურნეო სასწავლებლის დაარსების საქმე, როგორც „ნოვოე ობოზრენიეს“ პეტერბურგიდან ატყობინებენ, უკვე წარდგენილია განსახილველად სამიწათ მოქმედო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში.

როგორც 14 იანვარს წმ. ნინოს სასწავლებელში წაკითხულ ანგარიშიდანა სჩანს, 18⁹⁷/₉₈ სამოსწავლო წელს ამ სასწავლებელში ყოფილა სულ 485 მოწაფე. ამთაგან უმაღლეს კლასებში გადასულან 280.

მხოლოდ ის, რომ ყველა დიდის ნიჭითა და ცხოვრების ცოდნით არის დაწვრილი: მისი ბეჩავ, რაღა ჰკლავ მაღლისპოეზიისა და მომხიბვლელის ფანტაზიის პირმო შეილია, „მხრები-ღა ავიჩეჩე“ და „ხითხითებს“ და ხითხითებს“ მოპასანის პესიმისტურის მოთხოვნების დავგარო და მათვე უხალხოვდება იმითაც, რომ ავტორი ასე გვგონია რაღაც სიამოვნებასა. ხედავს, რომ კაცი ასე დაცემულიაო მართალია ეს სიცილი უფრო კბილთა ღრჭენა და ამ სიამოვნებას სარწმუნოდ აღვლევებულო და აღშფოთებული გრძობები უდევს, მაგრამ დიდი სიფრთხილეა საქირო, რომ ავტორი არ მიეჩვიოს ამგვარებს და მერმე მართა გონების სათამაშო მასალად არ მიიჩნიოს ცხოვრების სიბილწის გამოხატვა და უკიდურესის, უზრო კაცთა სიძულვილის გრძობების გულგრილი მუწყებელი არ შეიქმნეს. ამით, რასაკვირველია, არ მინდა ვამაგო ბ-ნ არაგვისპირელის ზემოხსენებულის მოთხოვნების სიუფეთი და ან ვსთქვა, რომ სინამდვილეს მოკლებული იყენ. პირ-იქით, იგინი მეტად ნამდვილია და სამართლიანიც მწერალმა თუ სიბინძურე ცხოვრებაში უნდა, დავანახოვს დაკი ისეთი სიბილწის შეთხზვა მწერალს არ შეუძლია, რომ ცხოვრებას უარესი მაგალითი არ ეჩვენებოდეს. ხოლო ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს თვით მას, თუ რა გრძობას უშლის ავტორს მისგანვე დასურათებული ცხოვრება და ცხოვრების მოვლენა. აი აქ არის საქირა დიდი სიფრთხილე, რომ ავტორმა მისგანვე დახატული სურათები სასიამოვნო

სასწავლებლისთვის თავი გაუნებებია 68 მოწაფეს, ხოლო სწავლა დაუმთავრებია 7 ქალს, რომელთაგანაც 6 მიუღია ჯილდოდ ოქროს ჯვრები ხოლო ოქროს წებურისა ვეწელს სასწავლებელში ირიცხება 477 მოწაფე, მათ რიცხვში თავისი სახლებიდან მოსიარულე 106 და 271 პანსიონერია. გვარ-ტომობის მხრივ განიყოფებიან შემწაფენი: 50% რუსი, 29% ქართველი, 20% სომეხი და 1% სხვა ტომისა. (H. O.).

ვახეთ „ცნ. ფურც.“-მა აღძრა კითხვა იმის შესახებ, რომ ქ. თბილისში მოსამსახურეთა საურთიერეთო დამხმარებელი კასა დაარსდესო. როგორც ვახეთი იუწყება თბილისში ამ ჟამად არის 2000-მდე მზარეული, მათ შორის ხუთასი დედაკაცია; და 1500-მდე ფარეში.

პროფესორს პრაგას უნივერსიტეტისას ლ. ნიდერლეს დიდი ყურადღება მიუქცევია ქართულის ლიტერატურისათვის და მოსკოვის ლაზარევის ინსტიტუტის პროფესორს ა. ს. ხახანაშვილს შეჰკითხებია პასუხს რამდენსამე საგნის შესახებ, რათა გაიადვილოს ამ ენისა და ლიტერატურის სპეციალურად შესწავლა. სხვათა შორის პატივცემულს ჩეხთა პროფესორს განზრახვა აქვს თურმე პრაგას უნივერსიტეტში დააწესოს კურსი ქართულის ენისა და ლიტერატურის შესწავლისა და აგრეთვე სთარგმნოს ჩეხთა ენაზედ ქართველთა მწერალთა ნაწარმოებნი.

სოფ. აჩე (თიონეთის მაზრა): ამა იანვრის პირველს რიცხვებში, და გონების სათარეშო საგნად არ მიიღოს.

ბ-ნი დეკანოზიშვილი ერთ ეტიუდს მოგვავწყდენს ხოლმე ორისა და სამის წლის განმავლობაში („ის კი მიდიოდა“. „კვალი“ № 5) აქ საყვედური მხოლოდ იმის შესახებ შეიილება ითქვას, რომ შემთხვევას არ გვადღევს ხშირად დაესტკებთ მისის ხელოვნურად შემუშავებულ და ღრმა გრძობებითა და აზრებით აღსავსე ეტიუდებით. მაგრამ ამაზედ შეუძლია ის გვიპასუხოს, „რა რომ ტურფე გაიადვილოს“ და ჩვენც ენა უნდა მოვიკენიტოთ, მით უმეტეს, თუ ეს სიღუნწე ავტორისა შედგეია იმისა რომ მეტად დიდის მორიდებითა და მოკრძალებით უცქერის ლიტერატურულს შრომას. ეს კი მხოლოდ დიდ ღირსებად უნდა ჩაეთვალოს.

განდევნილის „ფერია“, „კვალის“ უკანასკნელ ნომერში დასტამბული, მთელს წერილს დაიჭერს, თუ შევუდგებით იმ გრძობათა და აზრთა გამოარკვევას, რომლითაც სავესე ეს პატარა ეტიუდი. სულითა და გულით ვულთაცავთ ქ-ს „განდევლის“ ასეთის ნიჭიერის მოთხოვნის დაწერას და ვუსურვებთ, რომ ზრდა მისის ნიჭისა არ შეფერხებულიყოს. სხვა მწერალთა ნაწარმოებს შორის უნდა აღვნიშნოთ ბ-ნის ცახელის პოეზია „ნაკადი“, რომელიც მშვენიერს მაგალითს წარმოადგენს სიმბოლიურის ნაწარმოებსას, ლე ეტიუდები: თამაშათ კობა („ადე, ჩიტუნია“, „ივერია“ № 1 და „მთათა მილალო“, „კვალი“ № 35) ილ. ელფეთერიძის „ლულუნია“ და „პირველი შხამი“ და ბ. გ. ლის „ელზასელი ქალი“.

1897

„მობეჭდი“

თეიური ჟურნალი

(წელიწადი მეოთხე)

ბაზოვა იმავა პროზაშით

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

| | | |
|---|---------|--------|
| 1 წლით | 6 თვით | 3 თვით |
| რუსეთისა და კავკასიის ქალაქებში | 10 მან. | 6 მან. |
| საზღვარ გარე | 13 მან. | 7 მან. |
| ვისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ეძლეება, შეუძლიან შემოიტანოს: 1 იანვრამდე—4 მან., 1 აპრილამდე—3 მან. და 1 სექტემბრამდე—3 მან. | | |

სელის-მოწერა მიიღება ტფილისში, ჟურნალ „მობეჭდი“ რედაქციის მიერ, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზე, № 13.

წიგნის მაღაზიის, რომელიც იკისრებენ ჟურნალ „მობეჭდი“-ზე ხელის-მოწერის მიღებას, შეუძლიან აიღონ მთელის წლის შემოსავლიდან კამისისა და ფულის გამოგზავნისთვის ათა შაურა, ხოლო თუ ფულს ნაწილ-ნაწილ შემოიტანენ, არაფერია დაეთმებათ.

შენიშვნა. 1) ჟურნალის თავის დროზე მიღებისათვის რედაქცია პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფული გამოგზავნილ ან შემოტანილ იქნება რედაქციის კანტორაში. 2) ქალაქ გარეშე ხელის-მომწერთ ფულის მიღების კვატხანდას გაგზავნებათ მხოლოდ იმთა, ვინც ჟურნალის ფასთან ერთად წარმოადგენს 7 კაპ. ფოსტის მარკას ყოველ კვირტვიანზე.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთათვის ადრესა: Tifliss, Редакция „Мобедди“.

(6—3)

საპოლიტიკო, სამეცნიერო და სწავლარტურო ნახტებიანი გაზეთი

„მობეჭდი“

გამოვა 1897 წელს ყოველ კვირაში ერთსეულ ერთიდან სამ თამახამდე გაზეთი წლიურად ღირს გაუგზავნელად 7 მანათა, ხოლო გაგზავნით 8 მანათ. ნახევარის წლით გაუგზავნელად 3 მან. 50 კაპ., გაგზავნით 4 მანათ. სამის თვით გაუგზავნელად 2 მანათ., გაგზავნით 2 მან. 50 კაპ. თითო ნომერი სამშაურად. ხელის მომწერლებს წლის ფული შეუძლიან ნაწილ-ნაწილად გამოგზავნონ.

სელის მოწერა მიიღება:

თფილისში—არწრუნისეულ ქარვასლაში: „ქართულ სახალხო სამკითხველოში“, „წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში“ და თვით „კვალის“ და „ჯეჯილის“ რედაქციაში. (Артиллер. ул. д. Тамашева, № 03-лх кадетского корпуса).

ქალაქს გარეშე სელის-მომწერთა შეუძლიანთ მიმართონ ქუთაისში: ვარლამ ჯიქიაძის, ვ. ბუენიშვილის, ხეთეროსის წიგნის მაღაზიებში და ბ. ნ. ლალიძისთან ხელტეროსის წიგნის მაღაზიაში.—ათაშაში: მათე ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთის სააგენტოში.—განჯაში: ალ. მიქაბერიძის.—ფოთში: მიხეილ თურქიას და ი. კობრიძის.—მანსალოში (ხაშურში): იოსებ ფანცულაის.—თბილისში: ივ. ჩხაიძის.—გორში: არსენ კალანდარიძის.—ყვარლისში: ბ. ნ. არაბიძის წიგნის მაღაზიაში.—სახსრეში: ყარ. ჩხეიძის.

რედაქციის ადრესი.

ეველს ჩვენი ჟურნალ-გაზეთება ახალ წლისათვის, ხელის მოწერის წინათ, ჭმარებათ გამოგზავნის გაუმჯობესებას ვაპირებთ და შინაარსით, ზოგი კი სანუქასაც (პრემიას) აღუთქვამს, მაგრამ ზოგჯერ თავიანთ ხელთ არ არის მისი აღსრულება სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო. ჩვენ გაუწყეთ „კვალის“ მკითხველებს, რომ რედაქციას მართლაც წრეულს დაუგვიანდებო პრემიის დაბრუნება, მაგრამ ყოველ დონის მიხედვით ისმარს შინა-სათად გამოგადგს სელის-მომწერლებს წინაშე.

გაზეთ „კვალის“ პრეზრამის გაფართოებაზე უკვე დათუდა ნება ამით გაზეთს უფლება და საშუალება მიეცა სრული, ყოველ დღიურ საპოლიტიკო და სწავლარტურო გაზეთის მოწოდებას, მსუბუქად, მკონიარს „როგორც“ რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ცხოვრებისა და პოლიტიკის შესახებ, აგრეთვე ჩვენი ცხოვრების დღიურ საჭიარ-ხარატო ვაძამუვად.

წელსვე ეველს თანამშრომლებმა ადგილთქვეს თავისი კალმის ნაწარმოების მოწოდება. რაც შეეხება ვარკენი გაუმჯობესებას, რედაქცია ღონისძიებისაში აქტიურს უწარადლებას: ჩვენ ვიანარბთ კლიშეებს ყოველთვის აღზინდინდებ, პეტრობურკიდან და ახლაც დახარბული გვაქვს სტრუქტურადიდან, სოფელ ტფილისში შეუძლებლად ხეიარანი ნახატების დაბეჭდვა, რადგან ჩვენი ცხოვრების მღამ მსატრება თითქმის არა გვაქვს და დიტორაფუასაც სმარად უფუტდება სე რათობა.

მომავალ 1897 წ. „კვალის“ ხელის მომწერლებს დაურიგდებთ პრემიით ისტორიული ალბომი (სურათება ჩვენი გამოჩენილი მეფეების ისტორიული პირთა, ძველი მონასტრებისა და ციხეების, — ადწიროთ.

(3—2)

ჩვენის სოფლის მცხოვრებელს ბაბო ნანიძეს ლიკოკელს უცაბედად თოფი გაუვარდა, ტყვია მოხვდა იმისავე მამას და იქვე სული გააფრთხობინა.

ქ. ასაღრესე. ქ. მ. გ. გამრეკელის მეთაურობით ახალციხის საქველ-მოქმედო საზოგადოების სასარგებლოდ აქ გამართულ იქნა სა-მუსიკო და საცეკვაო საღამო. სულ შემოსულიყო 370 მან. ხარჯს გარდა საქველ-მოქმედო საზოგადოების სასარგებლოდ დარჩა 300 მ.

ქ. ფოთი: ამ ბოლოს ღროს აქ ძალიან შეაწუხეს ქიათურელები ბერძნებმა, რომელთაც ნისიათ წამოიღეს შავი ქვა. ბერძნები მთელ კვირაობით აცდევინებენ და ფულს არ აძლევენ, ასე რომ ფულისთვის მოსული კაცი თითქმის იმდენსა ხარჯავს დუქნებში, რაც ასაღები აქვს. („სწ. ფურ.“)

ართვინის ოლქში, კორძულის კათალიკების ეკლესიაში, აღმოჩენილია ძველი ქართული გუჯარი, რომელიც დაწერილია 1501 წელს. გუჯარში მოხსენებულია რომის პაპი სიქსო. აქედან ცხადად სჩანს, რომ ქართველთა შორის კათოლიკობა ძველის ძველიდანვე ყოფილა გავრცელებული.

შურნალ-გაზეთებიდან

ამოკრებილი ამბები.

იმპერატორი ნიკოლოზ პირველი მობმანებულა ერთხელ ციხის დასათვალიერებლად, საცა დამნაშავენი ყოფილან დამწყვედეულნი. დაუვლია საპრობილეს ოთახებში და ყველგან საცა-კი პარობილნი ყოფილან ყველას მოუხსენებია, რომ უბრალოდ ვარ დაქერილი, ტუდი არა მომინდებია რა და უსამართლოდ ვიტანჯებოდა და სხვა ამისთანა. მხოლოდ ამ პარობილთ შორის ერთი იმისთანა გამოჩენილა, რომელიც პირველ დამნაშავეს ხელმწიფის წინაშე და გულანდილად გამოტყვილა და მოუხსენებია თავისი აუკაცობა. იმპერატორს უბრძანებია: ამდენს პატრონას ხალხში მარტო შენ გამოჩენიარა ავი-კაციან. გადი აქედამ, გაეთრიო, შენ ამ პატრონას და უტოდედე ხალხში არ ვედგომილებო. ამ სახით გულანდილად მთქმელი თავისის დანაშაულობისა განათავისუფლა საპრობილედამ.

მეცნიერთა გამოუკვლევიათ რამდენს ჰანს რა პირუტყვი სძლებს და აი რა აღმოუჩენიათ: დათვი და მეღერი იშვითად ცოცხლობს 20 წელიწადზე მეტს. მელა—10—14 წლამდე, ლომი—60 წლამდე, კურდღელი 8 წლამდე, მარტორქა (носорог) არა უმეტეს 22 წელიწადზე, გველა-შაპი (кисть) 1000 წელიწადი, ლორი 8—10 წლამდე, თუთიყუში 110 წლამდე, თხა და ცხვარი 15 წელიწადზე მეტს არა სძლებენ, ფელქვანი 100 წლამდე, ხარი—35 წლამდე, აგრედვე ცხენი და ვირი. ძნულად შეხანვედრია თურმე ძალი 20—25 წელიწადზე მეტი. კატა 15 წელიწადზე მეტს ვერა სძლებს, ბელუჩა-ჩიტი 25 წლამდე, ყვა-

ვი 100 წელიწადზე მეტს, ერთი ძერა ვე-ნაში 103 წლისა მომკვდარა. სპილოზე ამბობენ, რომ 400 წლამდე მიაღწევს ხოლო. ალექსანდრე მაკედონელს ერთი მეომარი სპილო ჰყოლია, რომელსაც აიასე ჰქმევია. რაცა ალექსანდრეს დაუმარტებია პირი, მაშინ იგი სპილო შეუწირავს მზისათვის და გაუშვია თავის ნებაზე და ზედ ნიშნები დაუმწევია რა დროინდელი სპილოა. 350 წელიწადს შემდეგ იგი სპილო ცოცხალი უნახავთ კიდევ.

დეკემბა

14 იანვარი.

პატიმარბურღი. უმაღლესი ბრძანება: ჩვენს მხარეში შავის ქირის შემოტანისა და მისი გავრცელების წინააღმდეგ ზომების მისაღებად საქიროდ ვცანით რა საკუთარის კომისიის დაარსება, ჩვენ მიერ მოწონებულის საფუძველით, უმოწყალოსად ვუბრძანებთ პრინცს ალექსანდრე პეტრეს ძეს ოლდენბურგისას, ამა კომისიის თავმჯდომარედ ყოფნას.

პარიზი- ვაზეთები სიამოვნებით ეგვებებიან გრაფი მურავიოვის პარიზში სადარბაზოდ მისვლის ამბავს, რადგან ეს ამბავი ახალი საბუთია ფრანგ რუსთა მეგობრულის კავშირისა და აგრეთვე იგივეა ვარდაწყვეტილი პასუხი სხვა ქვეყნების ჟურნალ-გაზეთების იმ აზრისა, ვითომ საფრანგეთისა და რუსეთის პოლიტიკა ყოველ მხრივ არ არის შეთანხმებულ შეწყობილი.

ბმრლინი ნამდვილ წყაროდგან იტყობინებიან, ოფიციალური ცნობაა მოსული, რომ რუსეთის გარეშე საქმეთა მმართველი გრ. მურავიოვი ამ დღებში ცოტას ხნით მოვა ბერლინიში და იმპერატორი ინახულვებსო.

ბოკბანი. წარსულის წლის 14 სექტემბრიდან, რაცა ბოკბენიში დაიწყეს შავის ქირით დახოცილთა სის გამოქვეყნება, პირველად ოფიციალურად შეტყობილი იქნა, რომ 9633 კაცი თ მეტი დახოცილა ამ სენით ვიდრე მოსალოდნელი იყო წარსულ წელს. ამ ვიქონიით ამ უკავსკენელ ხუთის წლის განმავლობაში გარდაცვლილთა რაოდენობა. ეს გემოება, ექვი არ არის, შავს ქირს უნდა დაბრალდეს.

ალექსანდრია. ზემო ეგვიპტეში პოლიციელთა რაზმმა, ინგლისის ოფიცრის უფროსობით და მისისავე ბრძანებით ცეცხლში დასწვარვა დამნაშავე, რომელნიც ერთს სახლში იფარავდნენ თავს. მთელი საზოგადოება აღშოფოთებულია ამ საქციელისა გამო.

15 იანვარი,

პატიმარბურღი. სამკურნალო დეპარტამენტისაგან: რადგანაც ცნობები მოდის, რომ ინდოეთში შავი ქირი გაჩნდა და ეხლანდელ ვითარებათა გამო აცვილად შესაძლებელია ეს სენი ინდოეთის სხვა ადგილებშიაც გავრცელდეს, ამიტომ შინაგან საქმეთა მინისტრმა ფინანსთა მინისტრს თანხმობით მოახდინა განკარგულება, რათა მთელი ინდოეთი შავი ქირის მხრივ არა სიმედოდ იყოს ცნობილი.

პარიზი. გრაფი მურავიოვი, რომელსაც ხუთშაბათს მოელოიან, დილის რვა საათზედ ანატოლისთან ერთად ისა-

უხმებს რუსეთის საელჩოში. ნაშუადღევს ესტუმრება ფორს, მინისტრებს და ელჩებს და საღამოს ისაღლებს ელისეს სასახლეში. მეორე დღეს გრაფი ისაუბრებს გარეშე საქმეთა მინისტრთან, ისაღლებს რუსეთის საელჩო სახლში და საღამოს გაემგზავრება ბერლინს. ვაზეთები კმაყოფილებას აცხადებენ მურავიოვის მოსალოდნელ მოსვლისა გამო.

რომი. კონსტანტინეპოლიდან იუწყებიან, რომ იტალიისა და საფრანგეთის ელჩებმა მოითხოვეს, რომ დრაგმანებმა უკმაყოფილება გამოაცხადონ ალექსანდრეს წინააღმდეგ. ამ სამსჯავროს მინდობილი აქვს საქმის გარჩევა მახსარებისა, რომელსაც პარალელბა პატრის სალვატორეს მოკვლა. ამავე დრაგმანებს მიეწერა, რომ სამსჯავროში საქმის გარჩევის დროს ნუ დაესწრებოთ, რადგანაც საბჭო უმეტეს ნაწილად, იმათგანვე შესდგება, რომელთაც მარამის საქმეში გაამართლეს მახსარბენი.

განსჯალბანი

ტფილისის ქალაქის გამგეობისაგან ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ მისის 28 დეკემბრის 1896 წლის გარდაწყვეტილების ძალით, რომელიც დამტკიცა ბ-ნმა ტფილისის გუბერნატორმა 8 იანვარს 1897 წ., შესდგება საბჭოს

საარჩევანო სიები

ტფილისის ხმოსანთა ასარჩევად ოთხის წლის ვადით 1897—1901 წლებში, საარჩევანო კრებაში, რომელიც დანიშნულია კვირას, 18 მაისს 1897 წელს.

ამ სიაში ჩაიწერებიან (24 მუხლ. ქალაქის დებულბისა):

1) რუსეთის ქვეშევრდომნი, აგრეთვე საქველ-მოქმედო, სამეცნიერო და სამოსწავლო დაწესებულებანი მთავრობისანი, რომელთაც აქვთ საკუთარი უძრავი მამული ტფილისის საზღვართა შორის, ღირებურო არა ნაკლებ ას ორმოცდაათის თუმნისა, და რომლისათვისაც იხდიან ქალაქის სასარგებლოდ დაფასების გარდასახად.

და 2) რუსეთის ქვეშევრდომნი და რუსეთის იმპერიის კანონთამებრ დაარსებულნი საზოგადოებანი, ამხანაგობანი, რომელთაც წელიწადზე ნაკლები არ არის, რაც ტფილისში აქვთ საფაქრო-სამრეწველო წარმოება, რისთვისაც საჭიროა მოწმობა პირველის ან მეორე ვილდისა.

ქალაქის გამგეობა თავისს მოვალეობად სთვლის ყოველსავე ზემო ხსენებულს დასძინოს, რომ საარჩევანო სიების შედგენას იგი დაასრულებს, თანხმად იმავე გარდაწყვეტილებისა, ამა 1897 წ. 1 თებერვლამდე. ამიტომ ვისაც მსურს ჩაწერილი იქნას სიებში, ამ წლის იანვრის განსვლამდე უნდა შემოიტანოს ქალაქის ყოველივე დაჩენილი ვარდასახლი, რომელიც ერგება გამგეობას წარსულ წლის 1 იელისამდე, რათა მათზედ დაჩჩეს არა უმეტეს ნახევარ წლის შემოსავლიანი, ქალაქის დებულბის მე-33 მუხლის გ. 8 ძალით.

(3—1)